ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

ყურათებიანი დამატება
გაზეთის № 684
დამატების № 120
კვირა, 26 აგვისტო 1912 წ.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

ონში აკაკის ასზე მეტი ქართველი ქალი შეგება ეროვნულ ტანისამოსით.

სულის მახილი.

ისევ მას.

დიდ ხანს გეძებდი...

სრბოლით მოღლილი, მორაბიეთის*) შავი წვერვალიდან ასე გიხმობდა სული ჩემი:

„შროშანო ღელისაო, სვინტრო ობლად ასულო! შენ, რომელიც განუსაზღვრელი სიფრთხილით სდარაჯობ საუნჯესა ჩემსა, მოვედ!

აღმოსავლიდან დასავლეთამდე, ცივ ჩრდილოეთიდან ვიდრე ცხუნარე სამხრეთამდე შენს კვალს დავეძებ, მახლობელო ჩემო, და ვით გვრიტი დაცალებული, გულ-ამოსკვნილი ვსტირი, გეძახი: მოვედ!

უდაბნოის მხურვალე ქვიშამ დაჰსერა ფერხნი ჩემნი, ასპიდთა და მორიელთა დაჰგესლეს ტანი ჩემი; მოუკლველი წყურვილით გამხმარი ენა სასოწარკვეთილი კივილით გიხმობს: მოდი, მეჩქენე! ლერწამო შავი ზღვისაო, ბარამბო**) რნესულოვანო! შენ, რომლის იდუმალი მძლეობა უცხო ფერად აყვავებს მტრისგან გაპარტახებულს კოლხეთის კიდეთ, მარქვი: სადა ხარ!

დაბინდებისას, ოდეს მწუხრის განუჭვრეტელი რიდე საბედისწერო მოულოდნელობით გადაეფარა ჩემი ცხოვრებისგზა-წვრილს, უეცრად თვალთაგან მიმეფარე და ველარ გპოვებ, მითხარ: სადა ხარ, სად იმალები!

აჰა, ორბმა მოსძებნა ბუდე თვისი—ტრფობის სავანე; ლაღი ირემი, კლდეს გადმომდგარი, გულის ფანცქალით უცდის თავის ტოლს; შენ კი სად-ღა ხარ? მოდი, ოჰ, მოდი, ტკბილო ჩემო!

დაუცხრომელი ელდის კანკალით გულის სიყვარული ჩემი: ნაზი სიფრთხილით მკერდს მიგიხუტებ, ვით დედა შვილსა, და სამარადისო გრძნობით შეკრულს თვით სიკვდილიც ველარ განმაწევრებს შენგან, ტყუპო ჩემი სულისა.

მოდი, მისმინე!

ხატება შენი—ვით მარგალიტი ზღვაში ნაგორები; ბაგენი შენნი—ბროწეული ორად ნახლეჩი;

ვინ დაშრიტოს ნექტარი მათი!

არსება შენი—ვით ცეცხლის სვეტი, დასაბამიდან რომ ჩემს წამებულ სამშობლოს უკიდია; სუნთქვა შენი—სურნელება აღმოსავლეთის გუნდრუკისა.

ვენახთა შორის ავაშენე წმინდა სამსხვერპლო; იქ მივიტანე გული ჩემი და დავსწვი სრულად, ვით მსხვერპლი ყოვლად დასაწველი ძველი აღთქმისა.

მოდი... მოდი და მიიღე ფერფლი მისი შენთვის განმზადებული, ღმერთო ჩემო, მხოლოდ ჩემთვის განკაცებულო".

ასეთი იყო გლოვა ჩემი უჭირისუფლო.

მაგრამ ამაოდ: იგი არსად ჩნდა.

† ეგნატე ხრ:მელაშვილი,
გარდაიცვალა ტფილისში, 1912 წ. 17 აგვისტოს.

*) მთაა დასავლეთ საქართველოში.

**) მცენარეა.

1812 წ. სამამულიშვილო ომის დღესასწაულის გამო.

იმპერატორი ალექსანდრე პირველი.

ნაპოლეონი.

ეს სურათები ქართველ მებაღე **ვ. ნ. ბეჟანაშვილს** გაუკეთებია მოსკოვში დარგულ ფერად ყვავილებიდან და იმყოფება რუსეთის მებაღეობის მოყვარეთა საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ი. ანანინის ბაღში. ფერადი ყვავილები ისე ხელოვნურადაა შერჩეული, რომ ადამიანს ტილოზე ნახატი ეგონება. ბ-ნ ბეჟანაშკილს უბოძეს წოდება მხატვარ-პორტრეტისტისა და ოქროს დიდი მენდლითაც დააჯილდოვეს.

ცასა და დედამიწას შერთობოდა ხატება მისი ქამთა საკვლელად და საბრუნებლად.

ობლად დამტოვა...

კვლავ ავიკიდებ სამგზავრო გუდას და ყავარჯნით ხელში ვივლი—კიდით-კიდემდე დავსერავ მსოფლიოს სივრცეს, როგორც წყეული, ღვთის რისხვისაგან ლტოლვილი სული; ვივლი... ვივლი შეუსვენებლად, ამიერიდან უკუნისამდე, სანამ არ გპოვებ შენ, შრომანო ღელისაო, რომელიც შეგიყვარა სულმა ჩემმა.

ჭ. უმბაძე.

გიჟური ვნება.

(ეტიუდი)

თ-დი კუტუზოვი,
მთავარ სარდალი რუსის ჯარისა.

თ-დი ბაგრატიონი,
სარდალი მეორე ლაშქრისა.

მურატი,
ნაპოლეონის მოწინავე ჯარის სარდალი.

დ ა ვ უ,
ბაგრატიონის მოპირდაპირე ჯარის სარდალი.

არავის უნახავს, არცა ვის გაუგონია, რომ გიჟი გუქიტა მდინარე ენგურის ნაპირებს განშორებოდეს, სხვაგან გაეთენებინოს, ან დაეღამებინოს...

საიქიოდან მოვლინებული აჩრდილივით დაძრწის საცოდავი გუქიტა მუდამ ატეხილ ენგურის პირად. არა ხურავს-რა, არა აცვია-რა. ერთი რაღაც დაფხრეწილი ძონწეული გააჩნია და მასაც მუდამ ხელით ატარებს, ან სასოებით ინახავს სადმე ხისა ან ბუჩქის ძირში. იგი ჯერ არ ცმია მას... მის უხორცო ჩონჩხს კი კლდეზე სიარულით და ეკლნარში წოლით დახეულ-დასერილი უსიცოცხლო კანიღა ჰფარავს!

საშიში სანახავია გუქიტა! მისი ორმოებად დაპობილი სახე ადამიანისას არა ჰგავს.—ყაყაჩოს ფოთლების წითელი „წვენით შეთხუპნილი აქვს დახეთქილი ლოყები! ამავე წვენით იალისფერებს იგი უსისხლო წვრილს ტუჩებს, ხოლო წამწამთა და წარბებს შავად იღებავს ნახშირით! მუდამ გაშლილი თმა დახლართული აქვს ბალახ-ბულახით, მის გარშემო კი შემოყოლებული ველური და ქაცვიან ყვავილებიდან გაკეთებული ძეწკვი!

გუქიტას თვალები არა ამ ქვეყნიურია. ისინი ღრმად ჩახეთქილს ორმოში სხედან უძრავად და იქიდან ერთის გამოუცნობის ნდომით იმზირებიან... თავისთავად უფერულს კაკალში ეს ნდომა ფოლადის ფერის ერთ სხივად კრთის ისეთის ძლიერების სხივად, რომ ჯოჯოხეთიც კი შეკრთებოდა მის დანახვაზე!! მძლავრად გატყორცნილი ისარივით ხვდება ეს სხივი მჭვრეტელს...

რაც შეეხება გუქიტას ხმას, ის ახლო თითქმის არ ისმის. შორს კი რაღაც გიჟური აღტკინებით გაისმის... გრძნობას ურევს მსმენელს, სულის-თქმას შეუყენებს!

ამიტომ გაურბის გუქიტას ხალხი, სოფელს მისი ეშინიან. გარნა გუქიტაც ემტერება ხალხს და სოფელს არ ეკარება!

* * *

ქვეყნად არა რა არსებობს გუქიტასთვის—გარეშე ენგურისა. ამ მდინარესთვის შეუწირავს მას თავისი გიჟი ფიქრები, დამაფრთხობელი სურვილები... ენგურიაა გუქიტას გულიც და სულიც! ენგურია მისი ცაც და მიწაც. ენგურისათვის ილამაზებს გუქიტა სახეს! მისთვის ჰკრეფს იგი ვარდ-ყვავილებს!

დიდი, დიდი ხანია, რაც ენგურის ტრფობა ცეცხლად მოსდებია გუქიტას. დიდი ხანია, რაც იგი მოელის იმ ნეტარს წამს, როცა ენგური გაარღვევს მთად, გააპობს ნაპირთ და გუქიტას ჩაიკრავს გულში, გაიტაცებს... სწორედ ამ დროისთვის ინახავს გუქიტა თავის ტან-საცმელს: იგი მაშინ გამოეწყობა და დედოფლობას შეიშვენებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებლების დამსხვრევა

მატარებლის დამსხვრევა გორის ახლოს.
გადაღებულია სამხრეთიდან. წინ ორთქმავალია, მერე აყირავებული ცენდერი და შემდეგ III კლასის ვაგონი.



მატარებლის დამსხვრევა გორის ახლოს.
გადაღებულია აღმოსავლეთიდან.

მატარებლის დამსხვრევა გორის ახლოს.
გადაღებულია ჩრდილოეთიდან: წინ მაღლა ასულია დამწვარი საბარგო ვაგონის თვლები.



მატარებლის დამსხვრევა კავკავის გზაზე.

საოდავი გუქიტა!.. რომელმა ქვესკნელმა შეახო მას თავისი კლანჭები და ეგრე დაუბნია გონება? რომელმა ჯოჯოხეთმა გაჰკრა მის ავადმყოფს თავს თვისი ჯადო ფრთა და კაცური ყოველი გარდაჰქმნა მასში?

ჭეშმარიტად შეუცნობელი რამ არის გუქიტა!—მთელის თავის ავადმყოფი არსებით ეტრფის იგი ენგურს: ხან კლდეზე აცოცდება და იქიდან გასძახის ენგურს... ხან ღრეში ჩაეშვება და იქიდან უყივის სატრფო მდინარეს... ტყეშიც კი დაიმალება, ბუჩქ-ეკლნარშიც კი გაეხვევა და ყურებს დაიცავს, რომ ენგურის მჩქეფრი მდინარება თვალით არ დაინახოს, ყურით არ ისმინოს მისი გმინვა, მხეცური ღრიალი, რომ ამით გიჟური ვნება გაიმწვავოს, მომკლავ ბნელას მიეცეს!..

იმისთვის რომ უცილებლად ეჭვრიტნა ენგურისთვის, გუქიტას დაბლობი დაუჯდია და მაღლა მთებისკენ გაჰყოლია. უკაცურს, ველურს ადგილებში უფრო ბედნიერად იგრძნო თავი გიქუტამ. ენგურიც აქეთ უფრო წარმტაცი, უფრო ძლიერი და მშვენიერი იყო. ამ ადგილებში არც ნავი, არც ტივი, არცა რა ეცილებოდა გუქიტას. თითონ ველური, სულით და ხორცით პირველ-ყოფილ ბუნებაში გაქნილი, ყოველს კაცურს მოშორებული, მხეცათ-ქმნილი გუქიტა ტყესა და მთებში მხეცებს უყოდა და მათ უმხელდა გულის ხვაშიადს!!

არცა სჭამდა გუქიტა რასმეს, რომ ენგურის წყალში არ ამოევლო წინასწარ, არცა მილულავდა სხვაგან თვალებს, თუ ენგურის დამათრობელი სიო არ დაუქროლებდა მის პირსა და ტანს!!

...ხორც შესხმული უცნაურებაა გუქიტა! მიუწდომელი, უსახელო რამ, რაც იქნება, შეცდომით ადამიანის სხეულში ქვეყნად მოვლინებულა!..

* * *

არ იქმნა, არ მოიტაცა ენგურმა გუქიტა! გუქიტა კი დაილია. მისგან ხმა და თვალები-ღა დარჩა!

მაშინ გუქიტამ გადასწყვიტა თვითონ მოიტაცოს ენგური! ერთი კვირით ადრე მოირთო გუქიტა... შეიმოსა თავის ძონწეულში. დაიფერუმარილა სახე და საყვარელ ველური ყვავილებიდან შეკონილი გვირგვინი თავზე დაიდგა... მრავალი ასეთით მორთო ის ადგილიც, საიდანაც იგი აპირებდა ენგურის გატაცებას. ეს ადგილი კი მაღალი კლდე იყო, მდინარის შუა ტანისკენ გადაზნექილი... აცოცდა მასზე გუქიტა და საშინელის ლტოლვით მოევლინა ენგურს...

— აჰა, თვითონ მოვედი შენთან, ჩემო ენგურო! არა გრცხვენიან, ვეფხვო? მე თვითონ მოვედი შენთან!.. ფაფარ-აშლილო, ტან-ფსკვნილო და ბრჭყალებ მაგარო!.. ვაჟო-ვეფხვო, ჩემო ენგურო! ჰა, წარიტაცე შენი გუქიტა!.. იგი თვითონ მოვიდა შენთან.

ამ ადგილებში ენგური გააფთრებული მხეცივით ღმუოდა და გაშმაგებით ებრძოდა ვიწრო ნაპირთ.

— ჰეი, გზა, გზა მიეცით ჩემსკენ ენგურს! გზა, კლდენო და ღრენო, ჰხედავთ, ჩემსკენ მოჰქუხს, ჩემსკენ მოჰგმინავს ჩემი ენგური!!

ამის გაგონებაზე ენგურმა თითქოს მაღლა აიწია და გულმკერდის გაშლით, ზუზუნით ტყვიასებრ წინ წავარდა.

— ეგრე, ანდამატო!—მთელის ტანის ცახცახით კვლავ შესძახა გუქიტამ ენგურს, რომელიც ვერცხლის წყალისებრ სრიალა ტანს თავ-შეუკავებლად ხან მთას აჯახებდა, ხან კლდეს ახეთქდა. ჭექითა და გმინვით აზანზარებდა არეს, ბრჭყალებით ჰბასრავდა ნაპირთ და ღრენით კბენდა დაქვიტკირებულ ქვებს!

უკანასკნელად სჭვრეტდა გუქიტა ენგურს. მაღლიდან დიდს მანძილზე გადაჰყურებდა იგი მას.

აგერ კლდიდან-კლდეზე ხტის სწრაფი და ცქვიტი!.. აგერ შედგება, შებღავლებით ფაფარს აიყრის, თათებს მოიმარჯვებს... მთელის ტანით შეხტება, ჰაერში შეტრიალდება!

— ჰუჰ... მომკალ ბარემ!.. მომკალ! შენი ბრჭყალებით, ენგურო!..

ცოტა დაბლა კი ენგური ტანის ნელი რხევით ჩაიღუღუნებს, ნაზად შეეხება ჭალებს, თეთრს კენჭებს გადისვრის, შეკუნტრუშდება!.. და უცებ მთებს დაუბრუნდება! ისევ შებღავლებს, ისევ შეჰკივლებს, ისევ კლდეთ ეძგერება!!

— შენი ჭირიმე!—დაიწივლებს გიჟურის ვნებით გუქიტა. მას თვალთ დაუბნელდება. მთელი ქვეყანა ენგურად მოეჩვენება, ენგური კი—მისთვის აგზნებულ, თავ-დავიწყებით მებრძოლ გმირად.

ზე ბუნებრივი ძალა-შემატებული შეჰკივლებს კიდევ გუქიტა, არა კაცურის გამბედაობით მოსწყდება იგი თავის ადგილს და ენგურის აჩანჩქერებულს შუა ტანში გადაეშვება.

თვალის დახამხამების უმალ გაიტაცებს ენგური გუქიტას. ცოტა ხანს ჩაიხვევს მას ტალღებში და შემდეგ გააფთრებულ, დაჭრილ მხეცისებრი ღრიალით, თითქოს გუქიტას ძვლებმა დაჰკოდეს იგიო, ზე ამოაგდებს, ჰაერში შეისვრის! კვლავ დაეცემა გუქიტას უსულო გვამი ენგურის ზედაპირზე.. გაირღვევა მაშინ ენგური და ფსკერის მიუვალ კუნჭულში ჩაიტანს, დაჰმალავს მას!..

ლეო ქიაჩელი.

ერთი მრავალთაგანი.

(ესკიზი).

(ძღვნად არჩილ ჯორჯაძეს).

დასასრული *)

მთელი მაზრა რომ მოგევლო, გარეა „საგუბერნიო უწყებისა“, გაზეთს ვერ იშოვიდი. მოწყვეტილი ვიყავ მთელს კაცობრიობას, მთელს სამყაროს. ჩემს თვალწინ მხოლოდ დაუსრულებელი, თოვლით დაფენილი, მინდვრები იშლებოდა. მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხდი, იმედიანად ვიყავ, თავს ვანუგეშებდი. ღრმად მრწამდა ხალხის სულიერი და ზნეობრივი სიძლიერე. ვეცადე შევრიგებოდი მწარე სინამდვილეს, მაგრამ გული ისევ ჩვენი ქკეყნისკენ მიმიწევდა. ერთს მშვენიერს დღეს გამოვიპარე კიდეც. ვინ ჩამოთვლის, რა ტანჯვა-წვალება გამოვიარე ამ არა ჩვეულებრივ მოგზაურობის დროს, მაგრამ რაკი წინ და წინვე მქონდა ყველაფერი გათვალისწინებული, ადვილად ვიტანდი ყოველ გვარს გასაჭირს...

„და, ისევ გავჩნდი საქართველოში. გადავლახე ლიხის მთა და ჩემს წინ გაშლილს ბუნების საუცხოო სანახაობას რა მოვავლე თვალი, იმედიანად გავიფიქრე: ასეთი ყოვლად სრულ ბუნების შვილთ არ შეშვენის გულ-გრილობა და ერთბაშად გამიელვა თავში ბარათაშვილის სიტყვებმა:

„რაც ერთხელ სულსა ღრმად დააჩნდების,
საშვილის-შვილოდ გარდაიცემის“.

ამ იმედით, ამ რწმენით მიუახლოვდი სოფელ გ—ს, ერთი მეგობარი მეგულებოდა და მკვიდრნიც კარგად მიცნობდნენ.

კვირა დღე იყო. ხალხი ეკლესიის გალავანთან შეყრილიყო და მუსაიფში იყო გართული. შორიდანვე შევნიშნე ჭიშკართან გადმომდგარი ჩემი ნაცნობი გლეხი ბართლომე. დამინახა თუ არა, თოფ-ნაკრავივით მიბრუნდა უცებ და სახლისაკენ მოკურცხლა. ბევრი უძახე „ბართლომე, ბართლომე“, მაგრამ შენც არ მომიკვდე, უკანაც არ მოიხედა. ცოტა რომ გავიარე, მეორე ნაცნობ გლეხს წავაწყდი; გაუცინე, სალამის მიცემა მინდოდა, მაგრამ ესეც ბართლომესავით მამეორიდა და მსწრაფლ მიეფარა ჩემს თვალებს. რა იყო, რა მოხდა?—ათასჯერ ვეკითხებოდი ჩემს თავს, მაგრამ პასუხი ვერ მომენახა. ეკლესიას მივაღწიე და... რაც იქ მე მაშინ განვიცადე—ის ღმერთმა ჩემს მტერს აშოროს... იქითკენ გავსწიე, სადაც ხალხი მრავლად იყო შეჯგუფული, გავარღვიე წრე და ხმა-მაღლა შევძახე:

— გამარჯობა თქვენი, ძმებო!

მიცნეს; ზოგიერთებმა თითქოს წამოიწიეს კიდეც ხელის ჩამოსართმევად, მაგრამ ერთბაშად შედგნენ... აქა-იქ გაისმა ყრუ ჩოჩქოლი, რაღაც გაუგებარი ლაპარაკი, ზოგი მოსცილდა წრეს.

— ხალხნო და ჯამაათნო! რა იყო, რა მოხდა, რატომ პირდაპირ არ მეტყვით, თუ რამ დანაშაული მიმიძღვის თქვენს წინაშე?!.

ბოლოს მომიახლოვდა სოფელში ყველაზე უფრო პატივცემული გლეხი პეტრია. მოძრაობის დროს პეტრია მოწინავე გლეხთაგანი იყო.

— როგორც მოსულხარ, ჩემო ლევან, ისევე წადი აქედან. რაც აგვიკლეს და გვაწამეს შენი გულისთვის, კმარა ჩვენთვის... მოგვძულდა, ძამია, ამდენ უბედურობაში თავი. მთელი სოფლის სახელით, გადაჭრით გიცხადებ, რომ თუ დღესვე არ მიატოვებ ჩვენს კუთხეს, იძულებული ვიქნებით გაგაცეთ და უფროსს შევატყობინოთ შენი აქ ყოფნა...

„მივხვდი, ყველაფერს მივხვდი ერთბაშად... ჩუმად, უსიტყვოდ, უკანასკნელ სალამის მიუცემლად მოვცილდი იქაურობას და უაზროდ გაუდექი ისევ იმ გზას, რომლითაც რამდენიმე წუთის წინად შეველ სოფელში. ღმერთო! რა საშინელი უფსკრული, რა საშინელი განსხვავება იყო ჩემს სულიერს განცდაში სოფლის მიახლოვებისას და უკან გამობრუნებისას... სულ რაღაც ოცოდე წუთი და... ასეთი საშინელი კონტრასტი! ჩემთვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ ცხოვრებასთან შემაერთებელი ძაფი უკვე გაწყვეტილია და ამიერიდან ჩვენს შორის საერთო აღარა იყო რა... ყველაფერს შეურიგდებოდი, ყველაფერს ავიტანდი, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ხანგრძლივ კულტურას მექონე ხალხი ასე ერთბაშად დაფრთხებოდა, შეშინდებოდა, დაჰკარგავდა თავ-მოყვარეობას და გუშინ თავის მხსნელ მესიად აღიარებულ ადამიანს, დღეს გასაცემად გაიმეტებდა... საზიზღარ გამცემლის როლს იკისრებდა... ამ საშინელმა დასკვნამ გამომაფხიზლა. გონების თვალი მოვავლე მთელს ჩემს წარსულს, აწმყოს და მინდოდა მომავლის ბნელით მოცულ უფსკრულშიაც გადამეხედნა, მაგრამ ვერ შევსძელ. მწარედ გამეცინა: ვინ მე და ვინ მომავალი?!. ვის რად ეუნდოდი გაძარცული, სულ-ხორციანად გამოფიტული? რაღა ვარ ეხლა, რა მქვიან, რის მაქნისი ვარ? სად არის ცხოვრებაში ჩემი ადგილი, ან რის გაკეთება უნდა შევძლო გაძარცულმა ადამიანმა?—ხმა-მაღლა ვეკითხებოდი ჩემს თავს, როდესაც სოფელს საკმაოდ მოვცილდი და მთის ბილიკს შევუდექ... აი, ეხლაც, როდესაც ამ ამბავს გიამბობ, სული მეხუთება, აზრები მერევა და ლამის არის გული შემიღონდეს“.

ლევანი დადუმდა. მესმოდა მისი გულის ძგერა, რომელიც თითქოს ამოვარდნას ჭლამობდა ბუდიდან, რომ ერთბაშად გამსკდარიყო და გადმოენთხია ცხოვრების უსამართლობით დაგუბებული ბოღმა-კაეშანი...

— უიმედობა სოფლად, უიმედობა ქალაქად.. ნუ თუ განჭრა ყოველივე ვით მოჩვენება, ვით ტკბილი სიზმარი, ვით ძილის პირად გაგონილი მომხიბლავი ზღაპარი?..

— უბედური ზღვის ქალისა,—ჩემდა უნებურად განვაგრძელევანის აზრთა დენა და მომაგონდა ნიავის მიერ ნაჩურჩულევი ზღაპარი, სადაც ზღვის ქალს მიჯნური ცხრა მთას იქით ჰყავდა გადაკარგული, მაგრამ ხელ-ახლად ნახვის იმედს მაინც არ ჭკარგავდა—დროება ცვალებადია, დღეს ჩვენ გარდამავალს ხანას განვიცდით...

— ნეტარ არიან მორწმუნენი!—მწარედ წარმოსთქვა ლევანმა და რაღაც უცნაურად გაიღიმა.

რა იყო ამ ღიმილში დამარხული: უიმედობა თუ რწმენა?

ვინ იცის?

გათენდა. აღმოსავლეთის მხრით ცის კაბადონს გაჰკრა სხივთა ისარმა და ოქროს თავთავებად დაედგა ცად ატყორცნილ შორად ამაყად მდგარ მთის მწვერვალებს. ცოტა კიდევ და წითლად შეღებილი ცის დასავალი ერთბაშად შეიმოსა ათას ფერად გამომჭვირვალ საოცნებო საბანში და ამობრწყინდა დიდებული მზე. ღამის ხვაშიადში დაიბადა სინათლე. იშვა ახალი დღე და ჩვეულებრივ გაისმა ჰიმნი სასიცოცხლოდ ამოძრავებულ სამყაროსი.

— წამო, წავიდეთ. ხომ იცი დღის სინათლეზე ნადირნი ტყის სიღრმეში იმალებიან. მეც საღამომდე შენთან უნდა შევაფარო თავი, თორემ ვინმე „ერთგულობის ჟინით შეპყრობილი“ დამინახავს და სადაც ჯერ არს აკნობებს.

ავდექით. ერთხელ კიდევ გადავხედეთ ზღვას, ერთხელ კიდევ ხარბად შევისუნთქეთ დილის მაცოცხლებელი ჰაერი და უსიტყვოდ გავწიეთ ჩემი ბინისაკენ.

ვაკვირდებოდი ლევანის გამხდარს სახეს, ღრმად ჩაცვივნულს უილაჯოდ მომზირალს შავს თვალებს და ეხლა ჩემთვის ცხადი იყო მისი დაკნინებისა და დაბეჩავების მიზეზი.

ერთი კვირის შემდეგ საღამოს მატარებლით გავისტუმრე ლევანი.

საით?

თვითონაც არ იცოდა საით.

—

სამი თვის შემდეგ, გაზეთში ამოვიკითხე: „გუშინ სოფელ გ—ს შეიპყრეს და მიჰკლეს ადმინისტრატიულად გადასახლებული და თავის ნებით უკან დაბრუნებული ლევან არობელიძე. მკვლელობის მიზეზად ის გარემოება დაასახელეს, რომ არობელიძეს გაქცევა უნდოდაო“.

ლადო ახობაძე.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 119.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ჭუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.